

ინფორმაცია მონაცემების დამუშავების შესახებ

გამოსახულების დამუშავება ზედამხედველობის მიზნებით

პირადი მონაცემების დაცვის გენერალური დებულების (DSGVO) მე-13 დ მე-14 მუხლების თანახმად

მაკონტროლებლის დასახელება და საკონტაქტო რეკვიზიტები:

Bundesamt für Fremdenwesen und Asyl (იმიგრაციის და თავშესაფრის ფედერალური ოფისი)
Modecenterstraße 22, 1030 Wien
ტელეფონი: +43- 59 133 98 7004
ფაქსი: +43- 59 133 98 7399
ელ-ფოსტა: BFA-Einlaufstelle@bmi.gv.at

მონაცემთა დაცვის ოფიცრის საკონტაქტო რეკვიზიტები:

ტელეფონი: +43- 59 133 98 0
ელ-ფოსტა: BFA-Datenschutzbeauftragter@bmi.gv.at

დამუშავების მიზნები, რომლისთვისაც გამიზნულია პირადი მონაცემები:

შესასვლელის, მათ შორის, ადმინისტრაციულ შენობაში წვდომის ზონის დაშიფრული გამოსახულების ჩაწერა მუშაობის დაწყების საათებით ექსკლუზიურად გამოყენებული საჯარო იურიდიული პირის, როგორც კონტროლერის მიერ; ან განცალკევებული შესასვლელი, მათ შორის, წვდომის ზონა იმ შენობის სივრცულად განცალკევებულ სექციაში, რომელიც არაექსკლუზიურად გამოყენებულია, როგორც ადმინისტრაციული შენობა (მაგ. შენობის ნახევარი, ერთი სართული) საჯარო იურიდიული პირის, როგორც კონტროლერის მიერ, ასევე, საჯარო იურიდიული პირის, როგორც გამოსახულების დამუშავების კონტროლერის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული შენობის ფასადი, ან ვინც მიჩნეულია ადმინისტრაციული შენობის ფასადის ნებისმიერ ზიანზე, ქონების, ასევე, კონტრაქტორ იურიდიულ პირებთან სამართლებრივი ურთიერთობის მქონე ფიზიკური პირების სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვის, ნებისმიერი შესაძლო სისხლის სამართლებრივი ქმედების პრევენციის, აღკვეთის და გადაყვეტის მიზნით იმდენად, რამდენადაც კონტრაქტორი ორგანოს პასუხისმგებლობა განიცდის აღნიშნულის გავლენას, რომელიც ექვემდებარება ანალიზს მხოლოდ საჭიროებისამებრ, როგორც ეს განსაზღვრულია დანიშნულებით, როცა გამოსახულების გადაღება დასაშვებია „მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის (DSG) მე-12 მუხლით.

დამუშავების სამართლებრივი საფუძველი:

„მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის (DSG) მე-12 და მე-13 მუხლები; სამოქალაქო კოდექსის (ABGB) 353-ე და 1157-ე მუხლები; „სამოქალაქო მოსამსახურეების დაცვის შესახებ“ ფედერალური კანონის (B-BSG) მე-3 მუხლი; 1975 წ. „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ (StPO) მე-80 მუხლი

ვადა, რომლის განმავლობაშიც დაცული იქნება პირადი მონაცემები:

72 საათში, თუ ხსენებული მონაცემები აღარ არის საჭირო იმ მიზნით, რა მიზნითაც ისინი იქნა გადაღებული

პირადი მონაცემების მიმღებთა კატეგორიები:

კომპეტენტური უფლებამოსილების შესაბამისი კომპეტენტური სასამართლო (მტკიცებულების უზრუნველსაყოფად სისხლის სამართლის საქმეებში); უმიშროების სააგენტოები (დაზვერვის მიზნებისათვის); სასამართლოები (მტკიცებულების უზრუნველსაყოფად სისხლის სამართლის საქმეებში); სადაზღვევო კომპანიები (მხოლოდ სადაზღვევო მოთხოვნების მოსაგვარებლად)

მონაცემთა სუბიექტის უფლებები:

პირად მონაცემთა დაცვის ავსტრიულ ორგანოში საჩივრის შეტანის უფლება (1030 Wien, Barichgasse 40-42, ტელეფონი +43 1 52 152-0, ელ-ფოსტა dsb@dsb.gv.at) ქმედითა „მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისად (DSG).

წვდომის უფლება განსაზღვრულია DSGVO მე-15 მუხლში.

შესწორების შეტანის უფლება განსაზღვრულია DSGVO მე-16 მუხლში.

განადგურების უფლება („დავიწყების უფლება“) განსაზღვრულია DSGVO მე-17 მუხლში.

არც DSGVO 21-ე მუხლით განსაზღვრული რომელიმე უფლება სუბიექტზე და არც DSGVO მე-18 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე უფლება მონაცემთა დამუშავების შეზღუდვაზე ვრცელდება პირადი მონაცემების დამუშავებაზე „თავშესაფრის მაძიებლებისათვის და სხვა კვალიფიციური უცხოელებისათვის საბაზისო ზრუნვის და მომსახურების გაწევის შესახებ“ ფედერალური კანონის შესაბამისად.